ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-75. 7524246001**
თარიღი:**02/09/2024**

საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს - საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით, თვითმმართველი ერთეულის ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო ღონისძიებების გამართვის მიზნით საარჩევნო სუბიექტებზე შენობა-ნაგებობების უსასყიდლოდ გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 45-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმრათველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

მუხლი 1.

საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს - საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით, თვითმმართველი ერთეულის ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო ღონისძიებების გამართვის მიზნით საარჩევნო სუბიექტებზე უსასყიდლოდ გამოიყოს შენობა-ნაგებობები: მუნიციპალური თეატრის შენობა (მისამართი: ქალაქი ტყიბული, კარლო ლომაძის მოედანი №5) და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შენობა (მისამართი: ქალაქი ტყიბული, თაყაიშვილის ქუჩა №3).

მუხლი 2.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (თ. ძაგნიძე).

მუხლი 3.

განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) განკარგულების მიღებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მუხლი 4.

განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

იოსებ რობაქიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი